გალტ & თაგარტი

ვქმნით შესაძლებლობებს

# სოფლის მეურნეობა საქართველოში

მარტი 2026

გალტ & თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

# სარჩევი


გალტ & თაგარტის სოფლის მეურნეობის განვითარების ინდექსი

საკვები პროდუქტების ბაზრის მიმოხილვა

გამოწვევები და შესაძლებლობები

# ინდექსი აერთიანებს 3 ქვე-ინდექსს

## პროდუქტიულობა

- 1-წლიანი კულტურები
- მეცხოველეობა
- სამუშაო ძალა

## ფასების სტაბილურობა

- სურსათის ფასების რყევები
- ფასები ფერმის კართან
- შუალედური ხარჯები

## ინვესტიციები

- კაპიტალური ხარჯები
- პროგრამების შესრულება
- წილი სახელმწიფო ბიუჯეტში

# ქვე-ინდექსების დინამიკა

## პროდუქტიულობის ინდექსი




## ფასების სტაბილურობის ინდექსი




## ინვესტიციების ინდექსი



# გალტ & თაგარტის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ინდექსი



# პროგრესის შეფასება საჭიროებს სისტემურ მონაცემებსა და ინდიკატორებს



- გალტ & თაგარტი ყოველწლიურად გაზომავს სოფლის მეურნეობის პროგრესს ინდექსის საშუალებით
- ეფექტიანი პოლიტიკისა და შედეგების დროული მონიტორინგისთვის საჭიროა სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიხშირის გაუმჯობესება

გალტ & თაგარტი

ვქმნით შესაძლებლობებს

## საკვები პროდუქტების ბაზრის მიმოხილვა

# საქართველოში საკვები პროდუქტების ბაზარი სწრაფად იზრდება და 2025 წელს ₾21.5 მილიარდი შეადგინა

**ადგილობრივი მოთხოვნა ₾21.5 მლრდ**

**საგარეო მოთხოვნა ₾4.5 მლრდ**

| ადგილობრივი წარმოება | იმპორტი | ექსპორტი |
| --- | --- | --- |
| **₾16.2** მლრდ | **₾5.3** მლრდ | **₾4.5** მლრდ |

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი შენიშვნა: 2025 წლის მონაცემები წინასწარი შეფასებაა

# 2019-2025 წლებში საკვები პროდუქტების ბაზარი გაორმაგდა და 2030 წლისთვის ₾30 მილიარდამდე ზრდას ველოდებით; ზრდის მთავარ წყაროდ კი გადამუშავებული პროდუქტების მოხმარება რჩება

## საკვები პროდუქტების ადგილობრივი მოხმარების დინამიკა, მლრდ ₾




## მოხმარებაში იმპორტის წილი, 2025




**2030 წლისთვის იმპორტის მოცულობა**

**₾8.0**

მლრდ

# ძირითადი აგროპროდუქტების მოხმარება ₾6.4 მილიარდს აღწევს; ხორცში, რძის პროდუქტებსა და ბოსტნეულში ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო ხილში და ყურძნისგან წარმოებულ ალკოჰოლში ექსპორტი მაღალია

**სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტები - მოხმარება, იმპორტი და ექსპორტი, მლრდ ₾**

| | |
|---|---|
| ჯამური მოხმარება | **₾6.4** მლრდ |
| იმპორტი | **₾2.8** მლრდ |
| ექსპორტი | **₾3.0** მლრდ |




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი; შენიშვნა: ხორცის მოხმარება მოიცავს ხორცის, თევზის და კვერცხის მოხმარებას, ხოლო ხორცის იმპორტი და ექსპორტი ასევე მოიცავს ცოცხალი ცხოველებით ვაჭრობას; ხილი და თხილი მოიცავს ყველანაირ ხილს, კაკლოვნებს და ბაღჩეულს; ალკოჰოლურ სასმელებში შედის მხოლოდ ყურძნისგან წარმოებული პროდუქტები, მაგალითად ღვინო და ბრენდი.

# დინამიკაში მოხმარება განსაკუთრებით გაზრდილია ხორცსა და რძის პროდუქტებში, რაც რაოდენობასთან ერთად ფასის ზრდითაა განპირობებული




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი; შენიშვნა: ხორცის მოხმარება მოიცავს ხორცის, თევზის და კვერცხის მოხმარებას; ხილი და თხილი მოიცავს ხილს, კაკლოვნებს და ბაღჩეულს;

# ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნა მაღალი ღირებულების პროდუქტებზე, რაც ადგილობრივმა წარმოებამ ვერ დააკმაყოფილა

## შერჩეული პროდუქტების მოხმარება საქართველოში და თვითუზრუნველყოფა

| | მოხმარება **საქართველოში** კგ/სულზე 2016-24 | | მოხმარება **ევროკავშირში** კგ/სულზე | თვითუზრუნველყოფა **საქართველოში** 2016-24 | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორცი | 37 | 51 | 79 | 46% | 39% |
| რძის პროდუქტები | 173 | 206 | 237 | 82% | 74% |
| ხორბალი | 126 | 114 | 102 | 19% | 22% |
| ბოსტნეული | 112 | 108 | 176 | 78% | 74% |
| ხილი | 62 | 66 | 129 | 125% | 132% |







წყარო: საქსტატი, FAO, გალტ & თაგარტი შენიშვნა: თვითუზრუნველყოფა = წარმოება / (წარმოება + იმპორტი - ექსპორტი); ხორცში შედის ფრინველის, მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის და ღორის ხორცი; ხორცის თვითუზრუნველყოფა დათვლილია ცოცხალი ღორის იმპორტის გათვალისწინებით

# ცალკეულ პროდუქტებში თვითუზრუნველყოფა მაღალია, თუმცა ხორცში და თევზში იმპორტდამოკიდებულება ადგილობრივი წარმოების პერსპექტივაზე მიუთითებს




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი; შენიშვნა: თვითუზრუნველყოფა = წარმოება / (წარმოება + იმპორტი - ექსპორტი); ხორცის თვითუზრუნველყოფა დათვლილია ცოცხალი ღორის იმპორტის გათვალისწინებით

# ძირითადი საიმპორტო პროდუქტებია ხორცი, რძის პროდუქტები, მარცვლოვნები და ხილი

## იმპორტი პროდუქტებად, 2025




## ტოპ მომწოდებლები და მათი წილი იმპორტში

| პროდუქტი | ქვეყანა | წილი |
|---|---|---|
| ხორცი | ბრაზილია | 33% |
| რძის პროდუქტები | საფრანგეთი | 14% |
| თევზი | ნორვეგია | 18% |
| ცოცხალი ცხოველები | რუსეთი | 73% |
| მარცვლოვნები | რუსეთი | 72% |
| ხილი | ეკვადორი | 42% |
| ბოსტნეული | თურქეთი | 53% |
| კაკლოვნები | აშშ | 39% |

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

# ყველის, თევზის, ქათმის და ღორის ხორცის მოხმარება 2030 წლისთვის ₾3 მილიარდს მიაღწევს, რაც ადგილობრივი წარმოების დამატებით ₾1 მილიარდით გაფართოების პოტენციალს ქმნის

## ყველის მოხმარება

2025 ₾ **900** მლნ

2030 ₾ **1,400** მლნ

**13%** იმპორტის წილი 2025

## ფრინველის ხორცის მოხმარება

2025 ₾ **500** მლნ

2030 ₾ **800** მლნ

**66%** იმპორტის წილი 2025

## ღორის ხორცის მოხმარება

2025 ₾ **400** მლნ

2030 ₾ **500** მლნ

**45%** იმპორტის წილი 2025

## თევზის მოხმარება

2025 ₾ **200** მლნ

2030 ₾ **300** მლნ

**85%** იმპორტის წილი 2025

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

# საექსპორტო კალათა კონცენტრირებულია ღვინოზე, ბრენდსა და თხილზე, ხოლო ბაზრების მხრივ დივერსიფიკაცია კვლავ გამოწვევად რჩება

## ექსპორტი პროდუქტებად, 2025




## ტოპ საექსპორტო ბაზრები და მათი წილი ექსპორტში

| პროდუქტი | ქვეყანა | წილი |
|---|---|---|
| ღვინო | რუსეთი | 64% |
| ბრენდი | რუსეთი | 56% |
| თხილი და კაკლოვნები | იტალია | 21% |
| ხილი | რუსეთი | 74% |
| ბოსტნეული | რუსეთი | 35% |
| ცოცხალი ცხოველები | აზერბაიჯანი | 44% |
| ხორცი და თევზი | სომხეთი | 31% |

ჯამური ექსპორტის 70% დსთ-ს ქვეყნებში გადის




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი; ბოსტნეულის კატეგორია აერთიანებს ყველა ერთწლიან კულტურას , მათ შორის მარცვლოვნებს და სუნელებს, დაფნის ფოთლის ჩათვლით

გალტ & თაგარტი

ვქმნით შესაძლებლობებს

# გამოწვევები და შესაძლებლობები

# წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი შინამეურნეობებზე მოდის, რომელთა პროდუქტიულობა ბიზნესთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია

## ბიზნესის წილი წარმოებაში

- 30% — შერჩეულ პროდუქტებში
- 13% — პირველად წარმოებაში

## პროდუქტიულობა და მოსავლიანობა

| | ბიზნესი | შინამეურნეობები |
|---|---|---|
| სამუშაო ძალის პროდუქტიულობა '000 ლარი/კაცზე | 28 | 17 |
| ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა, ტონა/ჰა | 30 | 5 |

წყარო: საქსტატი, FAO, გალტ & თაგარტი შენიშვნა: ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა დათვლილია ატმის მაგალითზე

# პროდუქტიულობის ზრდა დიდწილად დამოკიდებულია ბიზნესის როლის გაძლიერებაზე და წარმოების უფრო კორპორატიზებულ მოდელზე გადასვლაზე

## შინამეურნეობების, ბიზნესის და იმპორტის წილი ჯამურ მიწოდებაში, %




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი; შენიშვნა: წილი რაოდენობაში (კგ); თევზი მოიცავს მხოლოდ აკვაკულტურას;

# მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრაგმენტირებულია და არაეფექტურად გამოიყენება, რაც სექტორის განვითარების ერთ-ერთ მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს

## მეურნეობების რაოდენობა ფერმის ფართობების მიხედვით




## საქართველოში მიწის გადანაწილება ფართობების მიხედვით, ჰა




წყარო: საქსტატი, FAO (უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემი), სოფლის განვითარების სააგენტო, ღვინის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გალტ & თაგარტი

# დაბალი კორპორატიზაცია, ცოდნის ნაკლებობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენა საქართველოში მოსავლიანობის შედარებით დაბალ დონეს განაპირობებს

## საშუალო მოსავლიანობა, ტონა/ჰა, 2024




წყარო: FAO; შენიშვნა: მოიცავს როგორც ბიზნესის, ასევე შინამეურნეობების წარმოებას.

# სამაცივრე ინფრასტრუქტურის განვითარება ზრდის რეალიზაციის ფასს და ბიზნესის მომგებიანობას

## სამაცივრე მეურნეობები, 2025

| | |
|---|---|
| კამერების ტევადობა, მ3 | **295** ათასი |
| საკუთარი პროდუქციის წილი | **45%** |
| საშუალო დატვირთულობა | **51%** |

## ვაშლის მაგალითი

**25%** — IRR მაცივარში შენახვის შემთხვევაში

**20%** — IRR შენახვის გარეშე, სეზონზე გაყიდვით

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

# სახელმწიფო პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექტორის ეფექტიანობის ზრდასა და ახალი საექსპორტო შესაძლებლობების განვითარებაში

## სახელმწიფო დანახარჯები სოფლის მეურნეობაში, მლნ ₾




## "დანერგე მომავლის" დაფინანსებული ბაღები, 2025




წყარო: საქსტატი, სოფლის განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გალტ & თაგარტი; შენიშვნა: „დანერგე მომავლის" პროგრამებიდან შერჩეულია ბაღების და კენკროვნების დაფინანსების კომპონენტები

# სოფლის მეურნეობის წარმოება 2018 წლიდან გაორმაგდა, რასაც დაკრედიტების ზრდამ შეუწყო ხელი

**სოფლის მეურნეობის საბანკო დაკრედიტება მლრდ ₾**




**სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოშვება მლრდ ₾**




წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი;

# სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მთავარი ამოცანაა პროდუქტიულობის ზრდა და ექსპორტის დივერსიფიცირება

## გამოწვევები

- დაბალი კორპორატიზაცია
- ცოდნის/ მონაცემების ნაკლებობა
- დაბალტექნოლოგიურობა
- მელიორაცია
- კრიზისების მენეჯმენტი

## შესაძლებლობები

- ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება
- ლოგისტიკის განვითარება
- სახელმწიფოს მხარდაჭერა
- იმპორტის ჩანაცვლება
- ვერტიკალური ინტეგრაცია

# ბიზნესის გაფართოება და ინვესტიციების ზრდა სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპს გააორმაგებს




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი;

გალტ & თაგარტი

ვქმნით შესაძლებლობებს


**კვლევების დეპარტამენტის უფროსი**
ევა ბოჭორიშვილი
**evabochorishvili@gt.ge**

**მთავარი ეკონომისტი**
ლაშა ქავთარაძე
**lashakavtaradze@gt.ge**

**სექტორის უფროსი**
მარიამ ჩახვაშვილი
**mchakhvashvili@gt.ge**

**უფროსი ანალიტიკოსი**
დაჩი მუჯირიშვილი
**dmujirishvili@gt.ge**

**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ-ფოსტა:** research@gt.ge


# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.